www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 6 აგვისტო, 2012 წელი. | №3083 (176) | ფასი 50 თეთრი

41 პარტია პარლამენტში მოხვედრის ამბიციით

დათო გამისონია

გუშინ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავთ, საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკო-ში რეგისტრაციის ვადა ამოეწურათ.

იმ პარტიებისთვის, რომლებსაც პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავთ, განაცხადის შეტანის ვადა არჩევნების თარიღის მიხედვით არ განისაზღვრება - მათთვის საპარლამენტო არჩევნების წელს (არჩევნები, კონსტიტუციით, ოქტომბრის თვეში ინიშნება) მაქსიმალურ ვადად, საარჩევნო კოდექსის თანახმად, 31 ივლისია დადგენილი.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა "24 საათს" უთხრა, გამოცდილ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც არა ერთხელ დარეგისტრირებულან, მინიმალური ფორმალობები კარგად ჰქონდათ დაცული, თუმცა, ისეთი პარტიებიც იყვნენ, რომლებსაც საბუთებში მცირე კორექტივების შეტანა დასჭირდათ. როგორც ხარატიშვილი აღნიშნავს, მხოლოდ ერთეული შემთხვევები ყოფილა, როდესაც ცესკო-ს ამა თუ იმ პარტიის დარეგისტრირებაზე უარი უთქვამს.

ცესკო-ს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა "24 საათს" უთხრა, რომ ცესკო-ს ამჯერად რეგისტრაციაში გატარებაზე არც ერთი პარტიისთვის უთქვამს უარი. მისი თქმით, იმ პარტიებს, რომლებსაც კანონმდებლობა ხელმოწერების შეტანას ავალდებულებს, ამისთვის ვადა 15 აგვისტომდე აქვთ. ეკა აზარაშვილის ინფორმაციით, არაკვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მქონე პარტიებს 25 000 ხელმოწერის წარდგენა უწევთ; კვალიფიციურებს - 1000-ის, ხოლო მათ, ვისაც პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავთ, რეგისტრაციის გასავლელად ხელმოწერების შეგროვება არ სჭირდებათ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

შავდათუაშვილი ლონდონის ქართველებში წარადგინეს

გიგა ბერაია/ბელის ფოტო

ლაშა შავდათუაშვილი და ქართული სათვისტომოს უხუცესი წევრი ალექსანდრე ბესტავაშვილი

სტიქია ჩრდილოეთ კორეასა და ინდოეთში

ჩრდილოეთ კორეა

ხათუნა გაბიევი

უხვი ნალექით გამოწვეულ პრობლემებს აზიაში ამ დრომდე ებრძვიან. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხმა 170-ს მიაღწია, დაშავებულია 144 ადამიანი, 400-ზე მეტი პირი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს, მაგრამ გაცილებით მოკრძალებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელთ არსებული ცნობები - სულ 88 ადამიანი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ალეპო გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში

ივა შილაკაძე

სირიაში დაპირისპირებული მხარეები გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან. უფრო ზუსტად, ბრძოლა უკვე მიმდინარეობს, მაგრამ ყველა ელოდება, რომ ის უფრო ფართომასშტაბიანი და სისხლისმღვრელი იქნება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სირიის თაობაზე "სარეკომენდაციო" რეზოლუცია მიიღო, რომლითაც ცდილობს, უშიშროების საბჭოს უფრო გადამჭრელი მოქმედებებისკენ უბიძგოს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6589⇓
1 ევრო	2.0381⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6031⇓
1 თურქული ლირა	0.9236⇓
100 რუსული რუბლი	5.1509⇓

თბილისი	31°C - 23°C
ქუთაისი	36°C - 24°C
თელავი	32°C - 23°C
ზუგდიდი	35°C - 21°C
ბათუმი	29°C - 23°C

ნავთობი	2.87	+0.02	+0.80%
გაზი	3.17	-0.04	-1.23%
ოქრო	1,602.30	-8.20	-0.51%
ხორბალი	863.50	-24.75	-2.87%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ბრიტანულად

ალექსანდრე ასათიანი

დიდ ბრიტანეთში ენდი მარის პატარა სკვერი იქნება. იქვე, ლონდონში, ენდი მარის პაბი გაიხსნება. თუ მარის გაუმართლებს, მის პატივსაცემად რომელიმე ღამის კლუბს გახსნიან. მარიმ დიდ ბრიტანეთს განსაკუთრებული მედალი აჩუქა. ოქრო ბრიტანეთში, უიმბლდონზე, როჯერ ფედერერთან. სქოთმა ბოლო თამაში 6:2, 6:1, 6:4 აიღო. ფედერერი ხუან მარტინ დელ პოტროსთან არარეალური ეპიკის შემდეგ ვერ აზროვნებდა. დრო და დრო როჯერს ახსენებდნენ, რომ ფინალი იყო. მარიმ როჯს დარჩენილი ენერგიაც წაართვა და მოსაგები მოიგო. 118 წუთში მარიმ ოსკარი აიღო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ენდი მარი

"ქართული ოცნების" წვიმიანი აქცია ბათუმში

დათო გამისონია

კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" მორიგი აქცია ბათუმში, "საოცრებათა მოედანზე" გამართა. მიტინგი წვიმიან ამინდს დაემთხვა.

აქცია 19:00 საათზე "ქართული ოცნების" ლიდერმა კურორტ ბეშუმში მომხდარი ინციდენტის შესახებ საუბრით დაიწყო. **სახალხო დღესასწაულს "ნაციონალური მოძრაობის" აქციად თუ გამოაცხადებდნენ, არ მეგონა. ჩვენ იქაურობას სასწრაფოდ გავეცალეთ, რათა დაპირისპირება ცუდად არ დამთავრებულიყო. პოლიცია ამ ყველაფერში მხოლოდ მაშინ ჩერია, როცა ინციდენტი ჩვენი მხრიდან უკვე განმუხტული იყო,"** - აღნიშნა ივანიშვილმა, შემდეგ კი ტრიბუნა რამდენიმე ადგილობრივს დაუთმო. მალე სცენაზე რეპერი ბერა ივანიშვილი გამოჩნდა. მისი სიმღერის შემდეგ მიკროფონს ბიძინა ივანიშვილი დაუბრუნდა და შეკრებილებს საპროგრამო სიტყვით მიმართა. აქცია ისევ ბერას სიმღერით გაგრძელდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

2008 წლის ომში დაღუპული ზურაბ ტურაშვილი ყვარელში დაკრძალეს

2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპული ქართველი ჯარისკაცი ზურაბ ტურაშვილი, რომლის იდნეტიფიცირებაც დნმ-ის საშუალებით მოხერხდა, ყვარელში დაკრძალეს, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს საქართველოს პრეზიდენტმა პირადად მიუსამძიმრა. დაკრძალვის ცერემონიალს მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრნენ.

სერჟანტი ზურაბ ტურაშვილი ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნეოდა და მისი იდენტიფიცირება მხოლოდ დნმ-ის ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

დნმ-ის ანალიზის შედეგების შესაბამისად, ასევე, მოხერხდა უფროსი სერჟანტის გელა თიგიშვილის იდენტიფიცირებაც. ზურაბ ტურაშვილი და გელა თიგიშვილი IV ქვეით ბრიგადაში მსახურობდნენ. სერჟანტი ტურაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან ირიცხებოდა, უფროსი სერჟანტი თიგიშვილი - 2006-დან. მათ მიღებული აქვთ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, მედალი "სამშობლოსათვის თავდადებული".

დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვის ყველა ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს.

ლევან ვარშალომიძის მრჩეველი "ქართულ ოცნებას" შეუერთდა

აჭარის მთავრობის მეთაურ ლევან ვარშალომიძის უკვე ყოფილი მრჩეველი ბაჩუკი ჩხეიძე კოალიცია "ქართულ ოცნებას" შეუერთდა. ჩხეიძის თქმით, მთავრობის აპარატიდან წამოსვლა ქვეყანაში შექმნილმა არაკონსტიტუციურმა ვითარებამ გადააწყვეტინა.

"ოფოციალურად დავაფიქსირე ჩემი პოზიცია და დღევანდელ აქციაშიც მივიღებ მონაწილეობას. ჩემს თავს ვერ მივცემდი უფლებას, რომ არაფერი მომემოქმედა. რისთვისაც ვიბრძოდით, უარესი შედეგი მივიღეთ - ხელისუფლება ქვეყნის კონსტიტუციური ჩარჩოდან ამოგდებასა და ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას აპირებს. ეს დაუშვებელია და დემოკრატიულ ნორმებს არ შეესაბამება," - აღნიშნა ბაჩუკი ჩხეიძემ.

ჩხეიძე ლევან ვარშალომიძის მრჩევლად ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. მანამდე მას მთავრობის აპარატში სხვადასხვა პოზიციები ეკავა: იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე; მთავრობის აპარატში პროტოკოლისა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი და დეპუტატი საკრებულოში - იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

41 პარტია პარლამენტში მოხვედრის ამბიციით

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ეკა აზარაშვილის განმარტებით, პარტიის რეგისტრაციაში გატარების საკითხზე ხელმოწერების გადამოწმების შემდეგ იმსჯელებენ.

ცესკო-ში განაცხადი სულ 41-მა პარტიამ წარადგინა. ეკა აზარაშვილის თქმით, მათგან ამ დროისთვის რეგისტრაცია 19-მა გაიარა. ესენი არიან: "ახალი მემარჯვენეები," "მერაბ კოსტავას საზოგადოება," "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს," "კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო," საქართველოს კონსერვატიული პარტია," "საქართველოს ევროპელი დემოკრატები," "ქართული დასი," "საქართველოს მწვანეთა პარტია," "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია," "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო," "ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები," "ეროვნული ფორუმი," "შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია," "საქართველოს რესპუბლიკური პარტია," "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა," "სახალხო მოძრაობა", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს," "ტრადიციონალისტები," "სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა." ამ პარტიების ნაწილს პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავს, დანარჩენებმა კი ცესკო-ში საჭირო რაოდენობის ხელმოწერები უკვე წარადგინეს.

ერთ-ერთი ბოლო პარტია, ვინც ცესკო-ს ოფიციალური განაცხადით მიმართა, "ნაციონალური მოძრაობა" იყო. პარტიის სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ის ძალაა, რომელიც შეძლებს, ქვეყნის განვითარებით მიღებული სარგებელი საქართველოს თითოეულ ოჯახში შეიტანოს.

პრეზიდენტმა აკვაპარკი გახსნა

განმუხურში ქვეყნის პირველმა პირმა გუშინ აკვაპარკი გახსნა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, შავი ზღვისპირეთში ეს ყველაზე დიდი დასასვენებელი კომპლექსია.

აკვაპარკი კანადურმა კომპანიამ დააპროექტა და გასართობი ცენტრი 7 თვეში ააშენა.

სააკაშვილი განმუხურში ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიასთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად იმყოფებოდა.

ვერა ქობალიას განცხადებით, მშენებლობაზე მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული. "ყველაფერი კეთდება ხალხისთვის. ასეთი ადგილი, როგორც ანაკლიაა, არსად არის და მომავალში კიდევ უფრო მეტი გაკეთდება," - განაცხადა სააკაშვილმა.

გუშინვე ქვეყნის პირველი პირი ჩხოროწყუს მოსახლეობას შეხვდა. მათთან მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ 2013 წლამდე საქართველოში პენსია 100 დოლარი გახდება.

"მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ომი და კრიზისი გადიტანა, საპრეზიდენტო ვადას ისე დავამთავრებ, რომ საქართველოში პენსია 100 დოლარი იქნება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგის მიერ დაფინანსებული ადამიანები მუდმივად ფიქრობენ, თუ რა აქვთ დასანგრევი.

"მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ჩვენ დასანგრევი არაფერი გვაქვს, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ასაშენებელი. ყველას მინდა, მოვუწოდო, ფეხებში ნუ გაგვებლანდებიან," - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ეპისკოპოსთან ერთად, მშენებარე ტაძარიც დაათვალიერა.

"ქართული ოცნების" წვიმიანი აქცია ბათუმში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბიძინა ივანიშვილმა საბჭოთა ეპოქისა და დღევანდელი საქართველოს შედარებას დიდი დრო დაუთმო. **"ნაციონალური ხელისუფლება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავის საბჭოთა წინამორბედს, უფრო ზუსტად, წინაპარს. მე არ ვიცი არც ერთი სხვა ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ასე დაუფარავად გაბედავდა იმის საჯაროდ გაცხადებას, რომ არსად აპირებს წასვლას, არ აპირებს თავისი ნებით ხელისუფლების ხალხისთვის გადაბარებას. მე არ ვიცი, ამის საჯაროდ მთქმელი არც ერთი ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლების გარდა,"** - აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილის მტკიცებით, ორი-სამი კაცი თავისი ნებასურვილით განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტს და არა მარტო ბიუჯეტს. მისი თქმით, სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის ხელშია ყველა საფინანსო ნაკადი, რაც კი ქვეყანაში ტრიალებს. **"აი, ასეთი ხელისუფლება მდებს მე ბრალს საბჭოური ცხოვრების ნოსტალგიაში. მდებს ბრალს, რომ მე რუსეთის შემოყვანა მინდა. მაგრამ სწორედ ამ ხელისუფლების მეთაურმა სააკაშვილმა თავის უგუნური პოლიტიკით უკვე შემოიყვანა რუსის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე და ეს რომ ასეა, ამის დასტურია ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, იქ მდგარი რუსეთის ჯარი და ასობით დაკარგული ქართული სოფელი,** - ამბობს ივანიშვილი და მომიტინგეებს პირობას აძლევს, -

ჩვენ დავასრულებთ საქართველოში საბჭოეთის ეპოქას, ტყუილის ეპოქას! ელიტარული კორუფციის ეპოქას! უსამართლობისა და უნამუსობის ეპოქას! საქართველოში პატიოსნების დრო მოდის!"

ივანიშვილმა ბათუმის პრობლემების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, კარგია, თუ სადმე გზები დაიგო, მაგრამ წყალგაყვანილობა და კანალიზაცია რომ კვლავ მოუწესრიგებელია, წუხანდელმა წვიმამაც აჩვენა. როგორც ივანიშვილი ამბობს, ქალაქის მშენებლობა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მისი მოსახლეობა, ისტორიული იერ-სახე და განუმეორებელი კოლორიტი არ დაზარალდეს.

ივანიშვილმა თურქეთთან ურთიერთობასაც დაუთმო დრო. თავდაპირველად ის თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ საუბრობდა, თუმცა, იქვე აჭარაში ქართველი მუშახელის დისკრიმინირებულ მდგომარეობას შეეხო. **"ინვესტიციების ხელშეწყობა ძალიან კარგია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს საკუთარი მოქალაქეების ხარჯზე. არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო ასე არ იქცევა, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში... სამარცხვინოა, როდესაც შენი ქვეყნის მოქალაქეები სრულიად დაუმსახურებელად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან მშობლიურ მიწაზე!"** - აცხადებს ივანიშვილი. ის გამოსავლის ერთ-ერთ გზად საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებას ასახელებს. ივანიშვილი ამომრჩეველს შრომის ისეთ კოდექსის შემუშავებას სთავაზობს, რომლითაც ვერც ერთი დამქირავებელი ვეღარ შეძლებს დაქირავებულის უფლებების შელახვას.

აქციაზე აზიზის მეჩეთის თემაც გაჟღერდა. **"მხოლოდ უნდა გვეამაყებოდეს ის, რომ ქრისტიანული ეკლესიების გვერდით საქართველოში დღეს მუსულმანური მეჩეთები მოქმედებს. ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანებმა და მუსულმანებმა ერთმანეთის გვერდით თანასწორად და ღირსეულად უნდა იცხოვრონ",** - განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებაც ისუაბრა. **"სააკაშვილმა გაბედა და ისეთ სივრცეში შეიჭრა, როგორიც ჩვენი ეკლესიაა",** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. "ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, ნაციონალური ტელეარხებით ტრაბახობენ იმ მღვდელმთავრებით, რომლებიც ხოტბას ასხამენ სააკაშვილს, ხოლო დაუფარავი აგრესიით მოიხსენებენ ყველას, ვინც "ქართულ ოცნებას" დაუჭირა მხარი. ივანიშვილის განცხადებით, ეკლესიაში დაპირისპირება ისე დაუფარავად ხდება, რომ საჩხერეში მოსახლეობის დიდი ნაწილი შეშფოთებულია იმ განწყობით, რომელსაც საჩხერეში მომსახურე მეუფე "ქართული ოცნების" წინააღმდეგ ავლენს. როგორც ივანიშვილი ამბობს, იგივე ვითარებაა უცხოეთში, სადაც ეს პროცესი დიასპორებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა.

უმუშევრობა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა

ივანიშვილმა გამოსვლის ბოლო ნაწილი იმ პრობლემებს დაუთმო, რომლებიც, სოციოლოგიურ კვლევების მიხედვით, პრობლემატურ ეროვნულ საკითხებს შორის მოწინავე ადგილებზეა. როგორც ივანიშვილი ამბობს, ოფიციალური მონაცემებით, 2003 წლიდან დღემდე საქართველოში 8.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. მისი თქმით, ეს საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ცოტა არ არის - ამ ინვესტიციას, სულ მცირე, საქართველოს 170 000 მოქალაქისთვის სამუშაო ადგილი უნდა შეექმნა. **"დაუჯერებელია, მაგრამ პირიქით მოხდა! ხალხო, თურმე, დღეს საქართველოში, საჯარო, ოფიციალური მონაცემებით, 150 ათასი ადამიანით ნაკლებს აქვს სამუშაო და სამსახური, ვიდრე 2003 წლის მიწურულს!"** - აღნიშნავს ივანიშვილი.

სოფლის მეურნეობის შესახებ საუბრისას კი ბიძინა ივანიშვილი ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ახალ ბაზრებს გამონახავს და რუსულ ბაზარსაც დაიბრუნებს. როგორც ივანიშვილი დასძენს, "ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, ქართული სოფელი ააღორძინოს და ამისთვის ერთმილიარდიანი ფონდი შექმნას.

რაც შეეხება ჯანდაცვის საკითხს, ივანიშვილის თქმით, სახელმწიფომ თავის თავზე ყოველი მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვა უნდა იტვირთოს.

ივანიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაძლიერების საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. **"ჩვენ, "ქართული ოცნება", გპირდებით თქვენ, აჭარის მკვიდრნო, რომ თქვენ თბილისიდან ვეღარავინ მოგახვევთ თავს თავის ნებასურვილს, თქვენ თავად გადაწყვეტთ ყველა საკითხს თქვენივე ქალაქში, რაიონში, სოფელში. ჩვენ ამას გპირდებით!"** - ამბობს ივანიშვილი.

"ქართული ოცნების" მორიგი აქცია 19 აგვისტოს რუსთავში გაიმართება.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲨᲞᲡ "ᲛᲕᲞ". ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲐᲩᲣᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲛᲐᲘᲐ ᲭᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ (ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘ,Weekend), ᲘᲜᲒᲐ ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ (ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ), ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ), ᲘᲕᲐ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ (ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ)
ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ (ᲠᲔᲕᲘᲣ), ᲙᲐᲮᲐ ᲤᲐᲩᲣᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲞᲝᲠᲢᲘ). **ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ** *ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲔᲥᲕᲐᲕᲐ* ᲢᲔᲚ: 899 22 09 49. ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ (ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ), ᲘᲠᲛᲐ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲥᲘᲠᲘᲐ, ᲜᲘᲜᲝ ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. № 68, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ, ᲛᲔ-3 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲢᲔᲚ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: public@24hours.ge

ალეპო გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

ირანელი მომლოცველები ამბოხებულების ხელში

თუმცა ორი ძლიერი და ჯიუტი სახელმწიფოს (მათი დასახელება ჩვენი მკითხველისთვის საჭირო არ არის) წყალობით, ერთიანი პოზიციის შემუშავება ვერ ხერხდება. სამოქალაქო ომი კი ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ეხებათ სირიაში მოხვედრილ სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს. ამჯერად, დამასკოსთან ახლოს, ამბოხებულებმა ირანელი მომლოცველები გაიტაცეს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ პარასკევს (ჩვენი დროით, უკვე შაბათს), მიიღო საუდის არაბეთის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელშიც არის მოწოდება სირიაში ხელისუფლების ცვლილებისა და ძალადობის შეწყვეტის თაობაზე. რეზოლუციაში დაგმობილია სირიის ხელისუფლების მიერ მძიმე შეიარაღების გამოყენება, აგრეთვე, ოფიციალური დამასკოს უარი, გაიყვანოს საარმიო შენაერთები ქალაქებიდან, რაც კოფი ანანის მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმის ერთ-ერთი პირობა იყო. ტექსტი ხმის მიცემის წინ ცოტა შერბილდა, იქიდან ამოიღეს მოთხოვნა პრეზიდენტ ასადის გადადგომის თაობაზე, რათა რეზოლუციისთვის მხარი რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოს დაეჭირა. თუმცა რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა ის მაინც გააკრიტიკა და მას "ცალმხრივი" უწოდა. საფრანგეთის წარმომადგენლის გაეროში ჟერარ არომ სიტყვებით კი, რეზოლუცია მოწოდებულია აჩვენოს, რომ რუსეთი და ჩინეთი გაეროს გენერალურ ასამბლეაში "უმნიშვნელო უმცირესობას" წარმოადგენენ.

რეზოლუციას ხმა მისცა 133-მა სახელმწიფომ, 12 წინააღმდეგი იყო და 31-მა თავი შეიკავა. ამ დოკუმენტს, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებისგან განსხვავებით, იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ ის ქვეყნების უმრავლესობის განწყობას აჩვენებს და უშიშროების საბჭოს უფრო აქტიური მოქმედებებისკენ მოუწოდებს.

კოფი ანანის მწვავე განცხადებების შემდეგ, რაც მან გადადგომისას გააკეთა (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"), დიპლომატისთვის საკმაოდ პირდაპირი იყო გაეროს ამჟამინდელი გენერალური მდივანი ბან კი მუნიც. ასამბლეის გახსნისას მან განაცხადა, რომ კონფლიქტი სირიაში "სხვისი ხელებით წარმოებულ ომად" იქცა. მან მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს მოუწოდა, თავი დაანებონ ქიშპს და ბოლო მოუღონ ძალადობას. "სიმხეცე, რომლის თაობაზეც ჩვენამდე ინფორმაცია მოდის, შეიძლება იყოს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ ან სამხედრო დანაშაული."

სირიის "ეკონომიკურ დედაქალაქში" - ორ მილიონიან ალეპოში კი ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. ქალაქის დაახლოებით ნახევარი უკვე დაახლოებით ორი კვირაა ამბოხებულებს უკავიათ და ისინი საკუთარი კონტროლის ზონას ნელ-ნელა აფართოებენ. ამას ვერ ეგუება მმართველი რეჟიმი და ქალაქის გარშემო უზარმაზარ ძალებს მოუყარა თავი. ბრძოლებში უკვე მონაწილეობენ არტილერია, ვერტმფრენები და საბრძოლო თვითმფრინავები, მაგრამ სირიის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს მხოლოდ "მოსამზადებელი სამუშაოებია" და შეტევა, ფაქტობრივად, ჯერ არ დაწყებულა. დამოუკიდებელი სამხედრო დამკვირვებლებიც აცხადებენ და სირიის ხელისუფლებამაც დაადასტურა, რომ ალეპოს გარშემო მობილიზებულია 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე. შეძლებისდაგვარად თავისი რიგები გააძლიერეს ამბოხებულებმაც. ასადის რეჟიმისთვის ალეპო, ფაქტობრივად, ბოლოსწინა ფორპოსტია, რადგან თუ ის "სირიის თავისუფალი არმიის" ხელში გადავიდა, ეს ამბოხებულებს ქვეყნის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის კონტროლის საშუალებას მისცემს. არ არის გამორიცხული, რომ ღამე ასადის არმიას შტურმი უკვე დაეწყო კიდეც.

დედაქალაქიდან კი აბოხებულებს გუშინ უკვე უკან დაახევინეს. კვირა დილისთვის ხელისუფლების ერთგულმა ძალებმა დაიკავეს რაიონი თადამუნი, რომელიც სირიის თავისუფალი არმიის ბოლო დასაყრდენი იყო დამასკოში. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ამბოხებულების ძირითადი ძალები ალეპოშია მობილიზებული.

შაბათს დამასკოს მახლობლად ავტობუსიდან ჩამოსვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს 48 ირანელი მომლოცველი, რომლებიც შიიტური სიწმინდის საიედა ზაინაბის მოსანახულებლად იყვნენ ჩასული სირიაში. შიიტი მომლოცველები სხვადასხვა სახელმწიფოდან სიწმინდეების მოსალოცად სისტემატიურად ჩადიან სირიაში. ცოტა ხნის წინ მსგავსი ინციდენტი შეემთხვათ ლიბანელ მომლოცველებს, თუმცა ისინი სამ დღეში უვნებლად გაუშვეს. ამჯერად ირანის საელჩოს წარმომადგენელმა მომლოცველების გატაცებაში "შეიარაღებული ჯგუფები" დაადანაშაულა და ისიც თქვა, რომ მისთვის ცნობილია გატაცებულ თანამემამულეთა ადგილსამყოფელი. მალევე იგივე ვერსია წარმოადგინა ოფიციალურმა დამასკომაც. საქმე ის არის, რომ მომლოცველთა გატაცება არც სირიელ ამბოხებულებს უარუყვიათ. პანარაბულმა ტელეკომპანია "ალ-არაბიამ" ვიდეოჩანაწერიც აჩვენა გატაცებული ირანელებით. ამ ჩანაწერში ამბოხებულების წარმომადგენელი აცხადებს, რომ მომლოცველებს შორის ირანული სპეცსამსახურის "ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის" წარმომადგენლები არიან. შიიტური ირანი ღიად უჭერს მხარს მონათესავე ალავიტების რეჟიმს სირიაში და სუნიტ ამბოხებულებს, ეტყობა, მიაჩნიათ, რომ მომლოცველების საფარქვეშ ირანი სირიაში კონსულტანტებსა და ინსტრუქტორებს გზავნის.

სტიქია ჩრდილოეთ კორეასა და ინდოეთში

პირველი გვერდიდან

ინდოეთი

ყველაზე მეტად ფხენან-ნამდოს, ფხენან-პუქტოს, ჰამგენისა და ჩაგანდოს რეგიონები დაზარალდა. აღნიშნულ ტერიტორიებზე უხვი ნალექით გამოწვეული წყალდიდობა ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. განადგურებულია მოსავალი, მათ შორის, ბრინჯის, სიმინდისა და ხორბლის ნათესები. წყალმა დაახლოებით 65 ათასი ჰექტარი ფართობის მიწა დაფარა. მძიმე მდგომარეობაა ასევე სოციალურ სფეროშიც, დატბორილი და ძლიერ დაზიანებულია 50 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, ღია ცის ქვეშ კი 212 ათასზე მეტი ადამიანი დარჩა. ამჟამად ისინი დროებით თავშესაფრებში არიან გადაყვანილნი, მაგრამ საკუთარ კერაზე დაბრუნების შესაძლებლობა თითქმის აღარ აქვთ.

ოფიციალური ფხენიანის განმარტებით, მათ სტიქიით მიყენებული ზარალის დასაძლევად საკმარისი ფინანსური სახსრები არ გააჩნიათ. სტიქიით დაზარალებული რეგიონები უკვე მოინახულა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჩხვე ენ რიმმა. ამის შემდეგ კი მთავრობის ხელმძღვანელმა საგანგებო სხდომაც მოიწვია და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს დაზარალებულ რეგიონებში სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების მიწოდება დაავალა. პრემიერის დავალებით ჩრდილოეთ კორეის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეძლებისგვარად უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდება.

უშუალოდ მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის გარდა, სტიქიამ მძიმე შედეგები იქონია ასევე ქვეყნის მძიმე მრეწველობის სფეროზეც. ძლიერ არის დაზიანებული კეჩხონისა და ტოკჩხონის ქვანახშირის საბადოები, მთლიანად დატბორილია ათობით მაღარო. ადგილობრივი სპეციალისტების განმარტებით, საკმაოდ გართულდება ქვანახშირის მოპოვება მომავალშიც, რადგან მწყობრიდანაა გამოსული შესაბამისი მოწყობილობები. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეაში საწვავისა და ენერგეტიკის სფეროში დიდი წილი, კონკრეტულად კი, 80 პროცენტი სწორედ ქვანახშირზე მოდის. ჩრდილოეთ კორეას არ აქვს ნავთობი და ბუნებრივი გაზი.

ზემოჩამოთვილი პრობლემების გარდა, ქვეყანას კიდევ ერთი საფრთხე ემუქრება, რომელმაც უმძიმესი შედეგები შეიძლება იქონიოს მოსახლეობის რაოდენობაზე. სტიქიით განადგურებული მოსავლისა და ენერგეტიკის სფეროში შექმნილი პრობლემების გათვალისწინებით, ჩრდილოკორეელებს შიმშილობაც ემუქრებათ. წინა კვირაში "24 საათი" უკვე წერდა, რომ მათ გაეროს უკვე სთხოვეს ჰუმანიტარული დახმარება, ძირითადად, სურსათი და სასმელი წყალი.

ჩრდილოეთ კორეის მსგავსად, არანაკლები პრობლემები გამოიწვია უამინდობამ ინდოეთშიც. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში წყალდიდობას ათობით ადამიანი ემსხვერპლა. ბოლო მონაცემებით, დაღუპულია 30 ადამიანი. უტარკჰანდას შტატის ხელისუფლების განცხადებით, ათობით პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა, ასობით ადამიანი კი უგზოობის გამო ვერ ახერხებს ქალაქ უტარკაშიდან გამოსვლას, სადაც, როგორც წესი, მომლოცველები დიდი რაოდენობით ჩადიან ხოლმე.

ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რეგიონში იმდენად ძლიერი იყო წყლის ნაკადი, რომ ხიდები წაიღო და ფართო ავტომაგისტრალის ნაწილი გაანადგურა.

ინდოეთში გადაუღებელი წვიმა პარასკევს დაიწყო. უხვი ნალექის გამო ასევე დაზარალდა ხიმაჩალ-პრადეშის შტატიც. სინოპტიკოსების ვარაუდით, წვიმა ინდოეთსა და ჩრდილოეთ კორეაში კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ქურთები თავს დაესხნენ თურქეთის სასაზღვრო პუნქტს, არის მსხვერპლი

არალეგალური "ქურთისტანის მუშათა პარტიის" მებრძოლები კვირას, ღამით თავს დაესხნენ თურქეთის არმიის საკონტროლო-გამშვებ პუნქტს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პროვინცია ჰაკარიში, ერაყის საზღვართან. სამხედროების პოსტს ქურთებმა ცეცხლი ყუმბარსატყორცნებიდან გაუხსნეს. ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა, სულ ცოტა, 19 ადამიანი, დაჭრილია ათეულობით კაცი. უფრო ზუსტად, მოკლულია 6 ჯარისკაცი, პუნქტის სამოქალაქო დაცვის ორი წევრი და 11 ქურთი ამბოხებული. დაჭრილია თურქეთის არმიის 15 ჯარისკაცი. ქურთების მხრიდან დაჭრილების რაოდენობა უცნობია. უკანდახეული მებრძოლების დევნა გუშინ, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჰაერიდან და სამხედრო-საჰაერო ძალები ბომბავდნენ მათ სავარაუდო უკანდასახევ ბილიკებს. "ქურთისტანის მუშათა პარტიის" რამდენიმე ათასი მებრძოლი თავს აფარებს ერაყის ჩრდილოეთს, ქურთული ავტონომიის ტერიტორიას. თურქეთი საავიაციო თავდასხმებს პერიოდულად ამ ტერიტორიაზეც ახორციელებს. თურქეთის ოფიციალური მონაცემებით, კვირას, ღამით თურქეთში გადავიდა დაახლოებით 200 "ბოევიკი" და განახორციელა თავდასხმების სერია სამხედრო ობიექტებზე.

"ქურთისტანის მუშათა პარტია" აქტიურ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის რამდენიმე ათწლეულია ახორციელებს, თუმცა ბოლო წლებში ისინი აცხადებენ, რომ იბრძვიან არა სრული დამოუკიდებლობისთვის, არამედ ავტონომიისა და ფართო უფლებებისთვის ქურთებისათვის. ასეთი ავტონომია მათ აქვთ ერაყში, ჰუსეინის დამხობის შემდეგ. ამ ათწლეულების განმავლობაში ამ ბრძოლას ათასობით ადამიანი შეეწირა. ქურთების რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 40 მილიონია, თუმცა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო არასდროს ჰქონიათ. დღეს ისტორიული ქურთისტანის ტერიტორია განაწილებულია ოთხ სახელმწიფოს - თურქეთს, ერაყს, ირანსა და სირიას შორის. ქურთების დაახლოებით ნახევარი - 20 მილიონი თურქეთში ცხოვრობს და ისინი ამ სახელმწიფოს მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენენ.

სუდანი და სამხრეთ სუდანი ნავთობის ტრანზიტზე შეთანხმდნენ

აფრიკის კავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სუდანში, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ განაცხადა, რომ ოფიციალურმა ხართუმმა და ჯუბამ მოაგვარეს ყველა სადავო საკითხი, რაც შეეხებოდა გადასახადების ოდენობას სამხრეთ სუდანის ნავთობის ტრანსპორტირებისთვის სუდანის ტერიტორიის გავლით ზღვისკენ. თუმცა ტაბო მბეკის შეთანხმების დეტალებზე არ უსაუბრია. კომენტარები არც სუდანისა და სამხრეთ სუდანის ოფიციალურ წარმომადგენლებს გაუკეთებიათ. სუდანისგან სამხრეთ სუდანის გამოყოფის შემდეგ, რაც შარშან გამართული რეფერენდუმის საფუძველზე განხორციელდა, სამხრეთ სუდანს დარჩა მთელი ქვეყნის ნავთობის მარაგის სამი მეოთხედი, მაგრამ ამ სახელმწიფოს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი და მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირებას სუდანის ტერიტორიის გავლით ახორციელებს. ტარიფებზე დავამ ორი სახელმწიფოლამის ომამდე მიიყვანა. სამხრეთ სუდანმა ჩრდილოელ მეზობელს ნავთობის მოპარვაში დასდო ბრალი და მისი მოპოვება შეაჩერა, რამაც ძალიან ცუდად იმოქმედა ორივე სახელმწიფოს ეკონომიკაზე. აფრიკის კავშირისგან მხარეებს შეთანხმების მიღწევისთვის დრო ხუთშაბათამდე ჰქონდათ. მოლაპარაკებები ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში მიმდინარეობდა. მთავარი შუამავლის, ტაბო მბეკის განცხადება გაკეთდა რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ჯუბაში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მხარეებს კომპრომისისკენ მოუწოდა. ის სამხრეთ სუდანში აფრიკული ტურნეს ფარგლებში იმყოფებოდა.

აფეთქებას იემენში 40-ზე მეტი კაცი შეეწირა

ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ჯაარში სამგლოვიარო პროცესიის დროს ხალხს შეერია თვითმკვლელი-ტერორისტი და თავი აიფეთქა. ტერაქტს 40-ზე მეტი ადამიანი შეეწირა, რამდენიმე ათეული ადამიანი დაჭრილია. იემენის ოფიციალური პირების და თვითმხილველების ცნობით, აფეთქება განხორციელდა "ალ კაიდას" მიერ შურისძიების მიზნით. კრძალავდნენ ადგილობრივი ტომების მიერ შექმნილი სახალხო ლაშქრის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. ეს სახალხო ლაშქარი იემენის არმიას ამ რეგიონიდან "ალ კაიდას" განდევნაში ეხმარებოდა. ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკებმა შარშან იემენში პოლიტიკური კრიზისითა და სამოქალაქო დაპირისპირებით ისარგებლეს და ქვეყნის სამხრეთ ნაწილში რამდენიმე ქალაქი დაიკავეს. არმიამ ისინი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ განდევნა ამ ქალაქებიდან. ჯაარი ხელისუფლებამ ივნისში "ალ-კაიდასგან" გათავისუფლებულად გამოაცხადა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

მოქალაქე კეინის თავბრუსხვევა

ბრიტანეთის კინოინსტიტუტმა ყველა დროის საუკეთესო ფილმები დაასახელა

ია ვეკუა

ბრიტანეთის კინოინსტიტუტი (BFI) ათ წელიწადში ერთხელ ყველა დროის საუკეთესო 50 ფილმს ასახელებს. ასე გრძელდება 1952 წლიდან, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა კინოკრიტიკოსებმა ყველა დროის საუკეთესო ფილმად ვიტორიო დე სიკას "ველოსიპედების გამტაცებლები" დაასახელეს. მას შემდეგ ოთხი ათეული წლის განმავლობაში კვარცხლბეკზე ორსონ უელსის "მოქალაქე კეინი" იყო მოქცეული, რომლის ზეობის ხანაც უკვე დასრულებულია, რადგან 846-მა კრიტიკოსმა 50-ეულის სათავეში ალფრედ ჰიჩკოკის "თავბრუსხვევა" განათავსა.

მსგავსი გადაწყვეტილება ყველასთვის სიახლე აღმოჩნდა, რადგან ოთხგზის გამარჯვებული "კეინის" თუნდაც მხოლოდ ერთი საფეხურით ჩამოქვეითებას არავინ ელოდა. ალბათ არ ელოდნენ იმასაც, რომ უელსის შედევრს ჰიჩკოკის სწორედ ეს ფილმი აჯობებდა, რადგან ამ რეჟისორის ხსენებისთანავე ყველას მაშინვე აბაზანაში დატრიალებული სისხლისღვრა ახსენდება და არც თუ ტყუილად...

ზოგადად სია საკმაოდ მოძველებულად და ზედმეტად შავ-თეთრად გამოიყურება. მისთვის ცალი თვალის გადავლებაც საკმარისია, იმის მისახვედრად, რომ იმ 846 კრიტიკოსიდან ნახევარს ფერადი ფილმები არც უნახავს, სამგანზომილებიანის შესახებ კი ალბათ არც სმენია და არც უნდა გაიგოს. ცხადია, თანამედროვე ფილმების 80% სრულ აბდაუბდას წარმოადგენს და ჯობს, მათმა რეჟისორებმა სხვა საქმე გამონახონ, მაგრამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შექმნილი კინოსაგანძურის ასე ერთბაშად უარყოფა ნამდვილად არ შეიძლება. ამ გამოკითხვის ავტორებს ალბათ იმის შეხსენება სჭირდებათ, რომ 1952 წლის შემდეგ მთელი 60 წელია გასული და თუ მაშინ ყველა დროის ფილმები 50 ერთეულიან სიაში ეტეოდა, დღეს ეს შეუძლებელია და ჯობს სიის მოცულობა გაზარდონ.

კარდი ფილმიდან "თავბრუსხვევა"

კადრი ფილმიდან "მოქალაქე კეინი"

სიას დავუბრუნდეთ: მესამე ადგილზე იასუჯირო ოძუს მიერ 1957 წელს გადაღებული მართლაც შესანიშნავი, ძალიან სევდიანი და ემოციურად დატვირთული "ტოკიოს ისტორია" გავიდა. მეოთხეზეა ფრანგი ჟან რენუარის "თამაშის წესები", ხოლო მომდევნო ადგილი გერმანელი ფრიდრიჰ მურნაუს 1927 წლის ფილმმა, უხმო კინოს ერთ-ერთ შედევრად აღიარებულმა "აისმა" დაიკავა (ეს ფილმი ჩვენს კინოსაიტებზე დევს და გირჩევთ, ნახოთ).

მეექვსე ადგილი ჟანრის უდავო შედევრს, სტენლი კუბრიკის "2001: კოსმოსური ოდეისეას" ერგო, რომელსაც კვალდაკვალ მოსდევს ამერიკული კინოს პატრიარქი, ოთხგზის "ოსკაროსანი" ჯონ ფორდი და მისი ვესტერნის ჟანრის კლასიკად აღიარებული 'მაძიებლები". მომდევნო ადგილზე საბჭოთა და მსოფლიო კინემატოგრაფის შედევრად მიჩნეული, ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტული დოკუმენტური ფილმი "ადამიანი კინოკამერით" (1929) გავიდა. მას კარლ დრეიერის 1928 წლის "ჟანა დ'არკის ვნებანი" მოსდევს, ხოლო პირველ ათეულს ფედერიკო ფელინის "8 1/2" ასრულებს.

აქვე მოკლედ გეტყვით, რომ სიაში ასევე მოხვდა სერგეი ეიზენშტეინის "ჯავშნოსანი "პოტიომკინი", ჟან-ლუკ გოდარის "უკანასკნელ ამოსუნთქვაზე" და "სულელი პიერო", ფრენსის ფორდ კოპოლას "აპოკალიფსი დღეს" და "ნათლიას" პირველი ორი ნაწილი, აკირა კუროსავას "შვიდი სამურაი" და "რაშომონი", ინგმარ ბერგმანის "პერსონა", ანდრეი ტარკოვსკის "სარკე", "ანდრეი რუბლოვი" და "სტალკერი", ვიტორიო დე სიკას "ველოსიპედების გამტაცებლები", ალფრედ ჰიჩკოკის "ფსიქო", მარტინ სკორსეზეს "ტაქსის მძღოლი", ფრიც ლანგის "მეტროპოლისი", ფრანსუა ტრუფოს "400 დარტყმა", დევიდ ლინჩის "მალჰოლანდ დრაივი", ჩარლი ჩაპლინის "დიდი ქალაქის ჩირაღდნები" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ სიის პარალელურად 358 რეჟისორის საუკეთესო ათეულიც გამოაქვეყნეს, რომლის შედგენაშიც მონაწილეობდნენ ვუდი ალენი, ნური ბილგე ჯეილანი, კვენტინ ტარანტინო, ძმები დარდენები, მარტინ სკორსეზე, მაიკ ლი, მაიკლ მანი, აკი კაურისმაკი, ფრენსის ფორდ კოპოლა და სხვები. მათი საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: იასუჯირო ოძუს "ტოკიოს ოსტორია", სტენლი კუბრიკის "2001: კოსმოსური ოდისეა", ორსონ უელსის "მოქალაქე კეინი", ფედერიკო ფელინის "8 1/2", მარტინ სკორსეზეს "ტაქსის მძღოლი", ფრენსის ფორდ კოპოლას "აპოკალიფსი დღეს" და "ნათლია", ალფრედ ჰიჩკოკის "თავბრუსხვევა" (ამ ორმა უკანასკნელმა ფილმმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა), ანდრეი ტარკოვსკის "სარკე" და ვიტორიო დე სიკას "ველოსიპედების გამტაცებლები".

ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო

BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

europe-bet.com "ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

შავდათუაშვილი ლონდონის ქართველებში წარადგინეს

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

ქართული სახლის დიასახლისი ნანა ალექსანდრია

გიგა გურასაშვილის ფოტო

ლონდონის ქართულ სათვისტომოს ქართული სპორტის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონთან, 20 წლის ლაშა შავდათუაშვილთან გაცნობის საშუალება მიეცა. ქართულ სახლში, რომელსაც ასეთი შეხვედრების ფუნქცია აკისრია, ოლიმპიური თამაშების დროს უფრო ნაკლები სტუმარი მოვიდა, ვიდრე წარმომედგინა.

ორმოცდაათამდე ლონდონელ ქართველს შორის ერთი ბაბუ გამოირჩეოდა. ის იყო ქართული სათვისტომოს უხუცესი წევრი, 105 წლის ალექსანდრე ბესტავაშვილი, რომელიც ქართულ სახლს ქალიშვილებთან ერთად ესტუმრა.

ქართული სახლის მასპინძელმა და დიასახლისმა, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ ბატონი ალექსანდრე მოგვიანებით თავადაც წარგვიდგინა. სათვისტომოს უხუცესი წევრი ემოციურად მოგვესალმა და კავკასიელებს ერთ მუშტად შეკვრისკენ მოგვიწოდა.

ბუნებრივია, ქართულ სახლში შეხვედრას ქართული სიმღერისა და ღვინის გარეშე არ ჩაუვლია. "შვიდკაცას" "მრავალჟამიერმა" სათვისტომოს ბევრ წარმომადგენელს ცრემლი მოჰგვარა. სასიამოვნო მოულოდნელობა გამოდგა დარბაზში ბრიტანული ქართული სიმღერების გუნდის "მასპინძლის" გამოჩენა, რომელმაც უფრო გაახალისა ქართული სახლის სტუმრები. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო "მასპინძლის" "შვიდკაცასთან" ექსპრომტად შესრულებული სიმღერა.

"მასპინძელი" ბრიტანული ქართული სიმღერების გუნდია, რომელიც 1999 წელს ჩამოყალიბდა. იდეის ინიციატორი იყო ქართული ფოლკლორული სიმღერებით დაინტერესებული ბატონი ჩადვიკი, რომლის ქართველი მასწავლებლის ედიშერ გარაკანიძის ტრაგიკულმა სიკვდილმა მას შთააგონა, ჩამოეყალიბებინა "მასპინძელი" და ქართული ხალხური სიმღერების მოტრფიალე თანამოაზრეებიც შემოეკრიბა. 2000 წელს გუნდის მუსიკალური ხელმძღვანელი გახდა ვენის მანლი, რომელიც დიდი მონდომებით ეუფლებოდა ქართული სიმღერის საიდუმლოს ქართველი მასწავლებლებისგან. ვენისის გარდაცვალების შემდეგ გუნდს ჰყავს ორი მუსიკალური ხელმძღვანელი - შალი დევისი და ჯეფ ბარტონი. დაარსების დღიდან "მასპინძელი"კეთილი ნების ელჩის როლს ასრულებს დიდ ბრიტანეთში. მთავარ მიზნად კი ქართული კულტურის პოლულარიზაცია დაუსახავს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ მისიით არაერთხელ სტუმრობდნენ საქართველოს.

ქართულ სახლში შეხვედრის კულმინაცია კი აღმოჩნდა სწორედ ის, რისთვისაც შევიკრიბეთ. ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდდამშვენებულ ლაშა შავდათუაშვილს დარბაზი ოვაციით შეხვდა.

ქართულ სალხში შეხვედრა დასრულდა იმ იმედით, რომ მსგავსი მიზეზით აქ კიდევ შევიკრიბებით. მედლებისთვის ბრძოლის არცთუ ურიგო შანსი აქვთ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს. ბერძენ-რომაელები უკვე საქმეში არიან.

მედლები კიდევ გვექნება

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

დათუნაშვილმა (მარცხნივ) მედლამდე ვერ მიაღწია

მედლები კიდევ გვექნება - ასე ფიქრობს საქართველოს დელეგაციაში ყველა: მწვრთნელები, სპორტსმენები, დელეგაციის წევრები. ოლიმპიადამ ეკვატორი გადალახა და გოლოვინას გამოსვლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს სანუგეშოდ მოჭიდავეები და ძალოსანი გია მაჭავარიანი დარჩა, რომელიც დღეს ჩაებმება ასპარეზობაში. მაჭავარიანი მსოფლიოს ვიცეჩემპიონია და უძლიერეს A ჯგუფშია განთესილი. ამ ჯგუფის ყველა ბინადარი მედლის კანდიდატია და თავად ეს ფაქტი იძლევა იმედს, რომ გიაც მედლისთვის იბრძოლებს.

გოლოვინამ შაბათს დაასრულა თავისი გამოსვლა. მან კარგად იასპარეზა კვალიფიკაციაზეც და ფინალშიც, მაგრამ მცირე ნიუანსებში შეცდომა დაუშვა და მედალს ვეღარ შესწვდა. კვალიფიკაციაში გოლოვინამ მეექვსე შედეგი აჩვენა. ფინალში კი მეშვიდე საფეხურზე დაასრულა ასპარეზობა. გოლოვინა უკვე მეორე ოლიმპიური თამაშებია სტაბილურად გადის ფინალში და საყოველთაო შეფასებით, მომავალში ის დიდი მიზნისთვის ბრძოლას შესძლებს.

ისე გამოვიდა, რომ ქართველებს ნუგეშად ჭიდაობა დაგვრჩა. ბერძნულ-რომაულშიც და თავისუფალშიც ისეთი შემადგენლობები გვყავს, რომ ოქროსთვის ბრძოლაც შეიძლება და თუ ისე მოხდა, თითო სახეობაში თითო ოქრო ავიღეთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშები ჩვენთვის წარმატებული იყო.

ამჟამად ასპარეზობაში ბერძენ-რომაელები ჩაებნენ. პირველ დღეს მედლები ორ წონით კატეგორიაში: 55-სა და 74 კილოში გათამაშდა. რაკი 55-ში ლიცენზია არ აგვიღია, ამიტომ საქომაგოდ მარტოოდენ ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ.) გვყავდა. ზურაბი 21 წლის ყმაწვილია. ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი მოუგია და ლონდონშიც საბრძოლველად ჩამოვიდა. სტარტი მართლაც ჩინებული გამოუვიდა.

პირველ წრეში დათუნაშვილმა სამხრეთკორეელი იუნჰეოკ კიმი აბურთავა. ჯერ 5 ქულა აართვა, ხოლო მეორე 2-წუთეულში ერთხელაც მოისროლა ხალიჩაზე და მერვედფინალში გავიდა. აქ ზურაბის მეტოქე ამერიკელი ბენჯამინ პროვიზორი იყო. ზურაბმა მეტოქეს აგრესიული ბრძოლა შესთავაზა, სისწრაფეშიც და ტექნიკურადაც დაჩაგრა და საბოლოო ჯამში, ისიც სამშობლოში გაისტუმრა.

მეოთხედფინალში დათუნაშვილს ძლიერი აზერბაიჯანელი ფალავანი გადაეყარა. ემინ აჰმადოვი ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც კარგად იყო აღჭურვილი. თუმცა, პირველ პერიოდში ჩვენი ახალგაზრდა ფალავნის წინაშე ვერაფერს გახდა. ჩოქბჯენში ზურაბ დათუნაშვილმა უაღრესად ყურადღებით იჭიდავა. მეტოქეს ილეთის გაკეთების საშუალება არ მისცა, ფეხზე წამოუდგა და გამარჯვება მოიპოვა.

დათუნაშვილს მეორე 2-წუთეულში მიეცა საბოლოო გამარჯვების კარგი შანსი. ამჯერად ჩოქბჯენში აზერბაიჯანელი ფალავანი იდგა. ზურაბს 30 წამი ჰქონდა ილეთის გასაკეთებლად, წამოიწყო კიდეც, მაგრამ ვეღარ დააბოლოვა. მას უბრალოდ ძალა აღარ ეყო ხიდზე დამდგარიყო და აჰმადოვი ხალიჩაზე გადაეგდო. ამიტომ გამარჯვება აზერბაიჯანელს მიანიჭეს. გადამწყვეტ მესამე 2-წუთეულში კი ახალგაზრდა ქართველ ფალავანს დაღლა დაეწყო. აჰმადოვმა მას ღონით აჯობა, ჩოქბჯენში გადაიყვანა და ქულა აართვა. დათუნაშვილი ამის შემდეგ რისკზე წავიდა. ილეთი წამოიწყო, მაგრამ საბოლოო გდება მაინც აზერბაიჯანელის იყო და აჰმადოვი ნახევარფინალში გავიდა.

იმისთვის, რომ დათუნაშვილს მედლისთვის ბრძოლა რეპეშაჟში გაეგრძელებინა, საჭირო იყო ემინ აჰმადოვის ფინალში გასვლა. აზერბაიჯანელს ნახევარფინალში მეტოქედ მეზობელი სომხეთის წარმომადგენელი არსენ ჯულფალაკიანი ერგო. ემინს აშკარად არ ეპიტნავა ასეთი ძლიერი, თანაც სომეხი მეტოქე, მაგრამ მაინც სცადა ბედი. არსენი მეტისმეტად სხარტი და გონიერი მოჭიდავე აღმოჩნდა. მან უნარიანად წაიყვანა, როგორც პირველი, ისე მეორე 2-წუთეული და ორივეში დაჩაგრა მეტოქე. საბოლოო ჯამში, აზერბაიჯანელმა ფანებმა დროშები დაუშვეს და რაკი ემინ აჰმადოვი ფინალს მიღმა დარჩა, ვერც ზურაბ დათუნაშვილმა გააგრძელა მედლისთვის ბრძოლა.

ბერძენ-რომაელთა ასპარეზობის მეორე დღეს მედლები 3 წონით კატეგორიაში გათამაშდება.

მედლების Top 10

	I	II	III	სულ
1. ჩინეთი	**29**	**16**	**14**	**59**
2. აშშ	27	14	15	56
3. დიდი ბრიტანეთი	16	10	10	3
4. სამ. კორეა	10	4	6	20
5. საფრანგეთი	8	7	9	24
6. გერმანია	5	10	6	21
7. იტალია	5	5	3	13
8. ყაზახეთი	5	0	0	5
9. ჩრდ. კორეა	4	0	1	5
10. რუსეთი	3	16	15	34
32. საქართველო	**1**	**0**	**0**	**1**

სერენას ბენტლი

ზურაბ თალაკვაძე

ოლიმპიური ჩემპიონი სერენა უილიამსი

შტეფი გრაფმა მოიგო დიდი სლემი. შტეფიმ მოიგო ოლიმპიადა. შტეფიმ მოიგო სეზონის შემაჯამებელი გარჩევა. ბევრჯერ მოიგო. გრაფმა ანდრე აგასიც მოიგო და შტეფი ევა ლონგორიაზე ბედნიერი დიასახლისია. ვარჯიშობს სამზარეულოში, ვარჯიშობს ანდრესთან. ყველგან ვარჯიშობს. და იშვიათად უყურებს ჩოგბურთს. ვიკა აზარენკას ერთჯერადი წიკვინი შტეფისთვის უინტერესოა. მარია შარაპოვას სექსუალური საცვალი შტეფისთვის უინტერესოა. ხანდახან, თუ გრაფი ერთ ბუნჩულა გოგონას ხედავს, ჩოგბურთი შტეფისთვის ისევ საინტერესო ხდება. შტეფი სერენა უილიამსს უყურებს და ისვენებს. გრაფმა სერენას ჰარი პოტერის ჯოხი დაუტოვა და ბელგიურ შოკოლადზე შავმა და ფახლავაზე ტკბილმა სერენამ აკრიფა. კარიერით აკრიფა. ლონდონში სერენა უილიამსი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. და გრაფს დაეწია. შტეფის ყველა დიდი ტურნირი აქვს მოგებული. უკვე სერენასაც. ფინალი, სერენა - შარაპოვა, 6:0, 6:1. სექსი კორტზე. დამცავი საშუალების გარეშე.

უილიამსი ლონდონში მეოთხე ნომერია. მეოთხე რეიტინგით და პირველი - ჩოგბურთით. აბორიგენული გამოხედვა, ელეგანტური ჟესტიკულაცია, აგრესია. სერენა ჩოგბურთია და შარაპოვა - პოდიუმი. მომენტებში პოდიუმიც ჩოგბურთს თამაშობს, მაგრამ უილიამსი სხვა ლიგაა. იქ სერები და დედოფლის დაქალები ნარდს უბერავენ და იქ "ფერარით" მისვლა ცუდი ტონია. მხოლოდ "ბენტლი" ან "როლს როისი". პირადი დაცვა "ასტონ მარტინით" გრიალებს და პიჟონები ვერ პიჟონობენ. სერენა ჩოგბურთის როიალური ოჯახის წევრია. იმ ოჯახში არიან შტეფი, სერ მარტინა ნავრატილოვა, მისის კრის ევერტი (ლოიდის გარეშე), ჰელენ უილს მუდი და ბილი ჯინ კინგი. სადღაც იქვე არიან მარია ბუენო, სიუზან ლენგლენი და სერენას ელეგანტური დაიკო, ვენუსი. შარაპოვა მეორე ეშელონშია. თუ შტეფის ან მარტინას ახალი კოლექციის დათვალიერება უნდათ, მარია (კიდევ რამდენიმე შოლტივით გოგონასთან ერთად) სექსუალურად ჩაივლის პოდიუმზე, წაიმოდელებს და სერენასთან კიდევ ერთ გარჩევას წააგებს. უილიამსმა ლონდონის ფინალში 10 ეისი მოაწოდა. სერიოზულია. უილიამსმა 24 ქულა აგრესიით, ლაზერული ჩოგბურთით წამოიღო. უილიამსმა მარიას 63 წუთში აათალა კანი. ბრუტალური ჩოგბურთი ჩვენი ახლობლისგან. თუ ჩოგბურთი რეალურად მოგწონს, სერენა შენი ახლობელია. ან ჩოგბურთის აზრზე არ ხარ.

ბოლო ორი ქულა სერენამ ორი ეისით აიღო. შარაპოვა იდგა, სერენას ხელს ვერ უშლიდა და რაღაცებს იხსენებდა. მარიას გაახსენდა, რომ ადრე, რვა წლის წინ, სერენას უიმბლდონის ფინალში მიესალმა და ის თამაში ორ სეტში აიღო. შარაპოვა სერენაზე უილიამსი იყო და ფინალი 6:1, 6:4 დახურა. მარიას დიდი სლემის 4 ტურნირი აქვს მოგებული. უილიამსს - 14. ბევრი ოპერაციით და ორი ძალიან ცუდი ტრავმით (ხერხემალი, მარჯვენა მაჯა) უილიამსმა რამდენიმე მეიჯორი დატოვა და საჩუქრები სხვებმა მიიღეს. შარაპოვამ, პეტრა კვიტოვამ, ვიკამ. სერენა გოგონების ტურის როჯერ ფედერერი, პიტ სამპრასი, ივან ლენდლია. სერენა ჩოგბურთია და ეს ჩოგბურთი დაისვენებს. შეიძლება დისნეილენდში წავიდეს. ან ვუდი ალენის ახალ სეანსზე შევა და პოპკორნით იხალისებს. ან დაიკოს დაუმესიჯებს და ბავშვობის ფოტოებს გამოართმევს. სერენა საყვარელი ბავშვი იყო. ან წაუძინებს და სიზმარშიც ლონდონის ოლიმპიადას მოიგებს. სერენას ჩოგბურთი ნირვანაა. ის, რაც ჩვენია და რაზეც ვიზრდებოდით. სერენა უილიამსმა ლონდონში ოქროს მედალი მოიგო.

ხანდახან, თუ გრაფი ერთ ბუნჩულა გოგონას ხედავს, ჩოგბურთი შტეფისთვის ისევ საინტერესო ხდება. შტეფი სერენა უილიამსს უყურებს და ისვენებს. გრაფმა სერენას ჰარი პოტერის ჯოხი დაუტოვა და ბელგიურ შოკოლადზე ტკბილმა სერენამ ჯეკპოტი მოხსნა. გრაფიც ჯეკპოტებს ხსნიდა.

შტეფიმ 24 წლის წინ ოლიმპიადაზე ხუთი ტესტი ჩააბარა. პირველი გარჩევა ლეილა მესხთან იყო და ჩვენმა გოგომ 6 გეიმი წამოიღო. შტეფიმ 7:5, 6:1 დახურა ამბები. 6:3, 6:0 კეტრინ სუირესთან. 6:2, 4:6, 6:3 ლარისა სავჩენკოსთან. 6:2, 6:0 ზინა გარისონთან და ფინალი, 6:3, 6:3 გაბრიელა საბატინისთან. ოლიმპიური ექსკურსია დამთავრებულია, შტეფი ტურნირის რინგო სტარი გახდა.

ჩოგბურთიც დიდი ექსკურსიაა. ვიწყებთ ძველი, მონოტონური ამბებით და ვიხსენებთ შავ-თეთრ კინგ კონგს, შავ-თეთრ ემფაირ სტეიტზე რომ მიცოცავს. ვიხსენებთ სხვა ამბებსაც და კრის ევერტის ქალურ შარმს. კრისი ჩოგბურთის სიუზან სარანდონი იყო. ვიხსენებთ მარტინა ნავრატილოვას კაცურ ჩოგბურთს ქალურ გარჩევებში. ვიხსენებთ შტეფის ფორჰენდს. პიტ სამპრასის ფორჰენდზე დაუნდობელ დარტყმას. ვიხსენებთ მონიკა სელეშს და გიუნტერ პარხეს. ვიხსენებთ სერენა უილიამსს და ექსკურსია დახურულია. ჩოგბურთის დისნეილენდი ისევ საინტერესოა.

სერენა უილიამსი სხვა ლიგაა. იქ სერები და დედოფლის დაქალები ნარდს უბერავენ და იქ "ფერარით" მისვლა ცუდი ტონია. მხოლოდ "ბენტლი" ან "როლს როისი". პირადი დაცვა "ასტონ მარტინით" გრიალებს და პიჟონები ვერ პიჟონობენ. სერენა მთელ ამ რუტინაზე დიდია. ბევრად დიდი.

ბრიტანულად

პირველი გვერდიდან

ოთხი კვირის წინ უიმბლდონმა ბიჭების საინტერესო ფინალი დაიტოვა და ის ფინალი როჯერის 4:6, 7:5, 6:3, 6:4 ზურგჩანთაში ჩავიდა. მარიმ მაგრად დაიწყო, ცუდად გააგრძელა და უემოციოდ დახურა ის ფინალი. როჯერი იბრუნებს რეიტინგში პირველ ნომერს და ფედერერი ოლიმპიადის ფავორიტია. მარისთან, ნოვაკ ჯოკოვიჩთან და დელ პოტროსთან ერთად. უიმბლდონზე როჯმა მეჩვიდმეტე მეიჯორი დაირტყა. მარი დიდი სლემის ტურნირებზე ბონუსამდე ვერ მიდის. ოლიმპიადაზე ყველაფერი შეიცვალა.

როჯერი მეოთხედ გავიდა ოლიმპიადაზე. პეკინში, სტანისლას ვავრინკასთან ერთად, ბოსმა წყვილებში მიიღო გრემი. აქ, ლონდონში, ვავრინკა პირველ წრეში მარიმ გადაჭრა. ენდიმ ფედერერიც გააჩერა და შვეიცარია რიოს ოლიმპიურ ამბებს დაელოდება. როჯერს იქ თამაში გადაწყვეტილი აქვს. ბრაზილიაში ცოტა გახუნებული, მაგრამ მაინც ფედერერი ჩავა.

ჩვენი ფინალის ამბები გასარჩევი არ არის. მარი იგებდა და როჯერი ისვენებდა. ფედერერი დაჯილდოების ცერემონიალისთვის ისვენებდა. მარი დიდი ბრიტანეთისთვის იგებდა. როჯერამდე შვეიცარიას საჩოგბურთო პრივატი მარკ როსემ აჩუქა. 20 წლის წინ მაღალმა ბიჭმა ბარსელონაში ხორჯი არეზეს ხუთ სეტში გადაუჯოკრა. როჯერმა მარკის მწვანე მილი ბოლომდე ვერ დაფარა. ხდება ხოლმე. ხანდახან გენიოსებიც აგებენ.

როჯერმა ვერ გაიფორმა Golden Grand Slam. ფედერერს მოგებული აქვს ერთეულებში დიდი სლემის ყველა ტურნირი და წრე ოლიმპიური ოქროს მედლით უნდა შეეკრა. როჯერამდე იგივე გააკეთეს ანდრე აგასიმ (1996, ატლანტაში) და პეკინში რაფაელ ნადალმა. ფედერერმა ვერ გაქაჩა, არგენტინელთან გარჩევაში მაგრად დაიღალა.

ფინალამდე როჯერის და მარის პირადულში 8:8 იყო. ფინალამდე ბოლო ბრიტანელი, რომელიც ოლიმპიადაზე ამ სახეობაში და ერთეულებში ოქროს იღებს, ჯოსაია რიჩია. ეს 104 წლის წინ, ლონდონში იყო. ლონდონის ექო ლონდონამდე მოვიდა და რიჩის გვირგვინიდან ჩამოვარდნილი შავი ვარდი მარიმ აიღო. სული შეუბერა და ახალ გვირგვინში ჩაარჭო. მარი ოლიმპიური ჩემპიონია. ჟღერს.

ფედერერმა ამ სეზონში 51 VS მოიგო. 7 წააგო. სოლიდური, ფედერერული სტატისტიკა. როჯმა გაშალა ფლეში როტერდამში (ფინალში უგებს დელ პოტროს), დუბაიში (მარი), მუხლებზე დააყენა ყველა BNP Paribas Open-ზე (იზნერი). მადრიდის ფინალში დაიჭრა ტომაშ ბერდიხი. მეორე იყო უიმბლდონი და მარისთან მოგებული გარჩევა. მარისთვის ეს სეზონის მეორე ჯეკპოტია. ბრიზბეინში ალექს დოლგოპოლოვზე კარგი იყო. 25 წლის მარის სეზონი - 38:10. ნორმალურია.

მარი ლონდონში ძალიან კარგი იყო.

I წრე - ვავრინკას ამბები უკვე მოვყევით. შვეიცარიის მეორე ნომერი მარისთან უფუნქციოდ იყო. ენდი იგებდა, არ იღლებოდა, დედიკოს თვალს უკრავდა და წვენს წრუპავდა. მარიმ კარგად დაიწყო.

II წრე - იარკო ნიემინენი, **6:2, 6:4**. მარი დგას, ნიემინენი ვერ დარბის და ფინელი 6 გეიმის აღებას ასწრებს. ცუდი თამაში. იარკო უკეთესია. მარიც. შემდეგ წრეში წამოვიდა...

III წრე - მარკოს ბაღდატისი. კვიპროსელი მარისთან ერთობა. იცის, რომ ყველა ვარიანტში უნდა შემოარტყან და მაინც ბოლომდე იღლება. მარიმ დატოვა პირველი სეტი **4:6**, აიღო მეორე **6:1** და მესამეშიც გაძლო. ბაღდატისი არ დაღლილა. უბრალოდ, მარი უკეთესი, მარი იყო. მესამე სეტიც **6:4** მორჩა. იწყება რეალური ფლეიოფი.

ფინალი - ნიკოლას ალმაგრო ნორმალური ტიპია. გრუნტზე უგებს თითქმის ყველას. სხვა საფარზე ფავორიტებიდან თითქმის ყველასთან ბალასტია და მარიმ ალმაგრო **6:4, 6:1** დაამშვიდა. ესპანელს ატკინეს და აწყენინეს.

ფინალი - ჯოკოვიჩთან ნერვების დაშლა წავიდა. ენდიმ გაძლო. **7:5, 7:5**. რეალურად კარგი და გასახსენებელი თამაში იყო. მარის ცოტა გაუმართლა.

ფინალი - 6:2, 6:1, 6:4 ჩოგბურთის პაკო დე ლუსიასთან.

მესამე ადგილი დელ პოტრომ აიღო. დიდი ბავშვი ბალუს მოძრაობებით და შრეკის გულით. მერვედ განთესილმა არგენტინელმა ჯოკოვიჩს 7:5, 6:4 დაუსვა. პირველ სეტში, მეექვსე გეიმში ნოვაკს სამი ბრეიკ პოინტი აქვს და ხუანიტომ სამივე დაასევა. მერე წამოწვიმა. ბიჭები გვირაბში შევიდნენ და დელ პოტრო აღარ ნერვიულობს. ბრეიქი პირველი სეტის მეთრთმეტე გეიმში და მეორე სეტის მესამე გეიმში. არგენტინამ არგენტინელისგან კიდევ ერთი საჩუქარი მიიღო. დელ პოტროც საჩუქარია.

ხუან მარტინ დელ პოტრომ მესამე ადგილი აიღო

ბლატით მოგებული



რუსეთმა ესპანეთთან დევიდ ბლატის ინტელექტით მოიგო

ზურაბ თალაკვაძე

კალათბურთში ამერიკაზე არ უნდა გახვიდე. ლებრონის, კევინის, დერონის, რასის, ერთჯერადი ტაისონის, მისტერ ბრაიანტის ამერიკაზე გასვლა ფრედი კრიუგერთან სექსზე მტკივნეულია. ბევრად მტკივნეული. ყველა ამერიკის აცილებას ცდილობს და ზოგს რაღაც მომენტში უმართლებს. გაუმართლა რუსეთსაც. გაუმართლა, რომ ესპანეთთან 2:20 სტარტის შემდეგ დამშვიდდა და ამოქაჩა. გაუმართლა, რომ ანდრეი კირილენკომ და ალექსეი შვედმა ვერ დასერეს ესპანელები და რუსეთმა მაინც მოიგო. გაუმართლა, რომ რუსეთში დევიდ ბლატი მუშაობს. ესპანეთთან რუსეთმა 77:74 ბლატით მოიგო.

ესპანეთი თითქმის ამერიკაა. პო გასოლი პროფესორია, მარკ გასოლი გასოლია, სერჟ იბაკა ამერიკულად აკეთებს საქმეს, ნავარო შორიდან მაგრად ურახუნებს, კალდერონი ჯეისონ კიდის ესპანური ვერსიაა და ფერნანდესი კლაიდ დრექსლერის კონსპექტებით თამაშობს. რუსეთში ბლატის ინტელექტი კირილენკოს ნიჭთან ძმაკაცობს. ნებისმიერ პოზიციაზე (კირილენკოს გარდა) ესპანეთი რუსეთზე კარგია. უფრო სრული, შეკრული, მშვიდი. უბრალოდ, ესპანეთმა პიჟონურად ირბინა და ბლატისგან აირტყა. რუსეთმა ფინალამდე ამერიკა აიცილა და მეოთხედფინალში ლიტვაზე გადის. საინტერესო მატჩი იქნება.

ხუთი წლის წინ ესპანეთმა ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. რუსეთთან, ბლატთან და კირილენკოსთან. ესპანეთი იმ ტესტშიც თითქმის 20 ქულას იგებდა და მერე ბლატს გაახსენდა, რომ თავის ამბავში საუკეთესოა. დევიდი გათამაშებს, დევიდი შენი მეგობარია და დევიდთან ერთად სექსზე დაგეშილი ქალიშვილივით არ ცელქობ, პრეზერვატივების რიგში არ დგახარ. ბლატმა ესპანეთი კიდევ ერთხელ წაიკითხა და რუსეთმა კიდევ ერთი ჩეხვა მოიგო. მანამდე იყო 75:74 ბრაზილიასთან. სპლიტერის, ნენეს, ვარეჟაოს, ბარბოსას, უერტასის ბრაზილიასთან და ის თამაშიც ბლატმა წამოიღო. ფრიდზონმა სამიანით სამბა მატრიოშკების ვალსით შეცვალა. ფრიდზონი ესპანეთთან კალაშნიკოვი იყო - 24 ქულა, 16/9 ზუსტი სროლა.

ესპანეთმა კირილენკოსგან 8 ქულა მიიღო. ესპანეთთან შვედმა 7 წუთში ქულა ვერ აიღო. ესპანეთი სხვებმა გახიეს და სხვების მწვრთნელი იყო, არის და იქნება დევიდ ბლატი.

ამერიკამ ლიტვასთან დაისვენა. ლიტვაში ძველი ბიჭების ბანდაა და ეს გუნდი აჭრილია. 95:99 ამერიკასთან კარგად ჩანს. უბრალოდ, ამერიკამ ცოტა ითამაშა, ვერ დაიღალა. ლიტვამ საშუალოდან ჩასაგდები ჩააგდო, ლინას კლეიზამ (25 ქულა) კარმელო ენტონის სტამინა და ნიჭი ითხოვა, იასაიტისი დაცვაში თითქმის იგუოდალა იყო. ხდება ხოლმე. ლიტვა რუსეთთან არ არის ფავორიტი და ამერიკა, ამერიკის გარდა, ყველასთან ფავორიტია. ესპანეთმა რუსეთთან წაგებით ფინალამდე ამერიკა გამოიწერა. თუ მანამდე არგენტინას ან საფრანგეთს მოუვლის. არგენტინაში ის არანორმალური ტიპია, მანუ. თავის სკოლასთან ერთად. საფრანგეთში მისტერ ლონგორია, ტონი პარკერი დარბის და ყველაფერს ასწრებს. იქვეა ბატუმი და ბუთხუზა უნივერსალი, ფორვარდი ბორის დიაო. ყველა ვარიანტში საინტერესო გარჩევები წავა. გასოლებით და იმ ხალხით, ესპანეთი რუსეთს ათიდან ათს უნდა უგებდეს. უბრალოდ, ესპანეთი ბლატით ვერ თამაშობს.

ფელპსის 22 მედალი

ლეგენდარული მაიკლ ფელპსი

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა დაასრულა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა. ათენსა და პეკინში მოგებულ 14 ოქროს მაიკლმა ლონდონში კიდევ ოთხი დაუმატა. მან ყველა შესაძლო რეკორდი მოხსნა. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია. საერთო ჯამში ფელპსს 22 მედალი აქვს მოგებული, აქედან 18 ოქრო, 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო. საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში ასეთი შედეგი ვინმემ აჩვენოს.

გავიხსენოთ მაიკლ ფელპსის კარიერის მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მის მიერ მოგებული ყველა მედალი.

2000 წელი, სიდნეის ოლიმპიური თამაშები, ლეგენდის დაბადება

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ფელპსს მედალი არ მოუგია. მან მხოლოდ ერთ დისტანციაზე სცადა ბედი. 15 წლის ფელპსმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მეხუთე ადგილი დაიკავა.

პირველი ოქრო - 2004 წელი. 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა

სანამ პირველ ოქროს მოიგებდა, მან ამ დისციპლინაში ოთხჯერ აჩვენა საუკეთესო დრო. მომავალში კი ფელპსი მხოლოდ საკუთარ რეკორდებს ამხობდა.

იან კროკერის დამარცხება - 2004 წელი

2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს იან კროკერი მსოფლიო რეკორდსმენის რანგში შეხვდა. სწორედ მას ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში და ოლიმპიური თამაშების მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა. კროკერი ცურვის ისტორიაში პირველი სპორტსმენია, რომელმაც ბატერფლაით 100-მეტრიანი დისტანცია 51 წამზე სწრაფად გაცურა. კროკერის რეკორდი 50.76 იყო. მაიკლ ფელპსმა ეს რეკორდი 4 მეათედი წამით გააუმჯობესა. 2009 წლის პირველ აგვისტოს მაიკლმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო - ბატერფლაით ასი მეტრი 50 წამზე უფრო სწრაფად გაცურა (49.82)

ლეჟაკის დახმარება

2008 წლის ოლიმპიური თამაშები სამუდამოდ შევიდა ისტორიაში. მაიკლ ფელპსმა პეკინის ოლიმპიადაზე რვა ოქრო მოიგო. გაიმარჯვა ყველა იმ დისციპლინაში, რომელშიც მონაწილეობდა. ეს წარმოუდგენელი რეკორდი არ შედეგბოდა, რომ არა ჯეისონ ლეჟაკი. 4x100 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ფელპსმა თავისი ეტაპი შესანიშნავად გაცურა, თუმცა, მეოთხე ეტაპის წინ აშშ-ის ნაკრები საფრანგეთის ნაკრებს თითქმის მთელი კორპუსით ჩამორჩებოდა. ასეთი ჰანდიკაპის ას მეტრზე აღმოფხვრა თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა, ლეჟაკმა შეუსრულებელი მისია შეასრულა. ამერიკელმა მოცურავემ თავისი ეტაპი 46.06 წამში გაცურა, ფრანგები უკან ჩამოიტოვა, აშშ-ის ნაკრებს ოქრო მოუტანა და ფელპსს უნიკალური რეკორდის დამყარების შანსი მისცა.

200 მეტრი ბატერფლაით

ეს არის დისტანცია, რომელიც ფელპსს ყველაზე მეტად უყვარს. სწორედ ამ დისტანციაზე იცურავა მაიკლმა პირველ ოლიმპიადაზე. მაშინ ის 15 წლის იყო. ათენსა და პეკინში კი მაიკლი ამ დისტანციაზე მხოლოდ დროს ებრძოდა. ცოტა არ იყოს, მოულოდნელიცაა, რომ მან ლონდონში ეს დისტანცია დათმო.

ერთი შეხება

დრამატული გამოდგა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა. კვალიფიკაციაში საუკეთესო დრო აჩვენა სერბმა მილორად ჩავიჩმა, რომელმაც ფინალური გაცურვა იდეალურად დაიწყო და 50 მეტრის შემდეგ თითქმის ნახევარ კორპუსს უგებდა ფელპსს. მაიკლმა დისტანციის ბოლო მეტრებზე სასწაული აჩვენა, სიჩქარეს მოუმატა და ერთი შეხებით აჯობა სერბს.

8-დან 8

2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ის ნაკრებმა 4x100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა მოიგო და ეს მაიკლ ფელპსისთვის პეკინის ოლიმპიადაზე მოგებული მერვე ოქრო იყო. ამით ფელპსმა დაამხო მარკ სპიცის რეკორდი, რომელსაც ერთ ოლიმპიადაზე შვიდი ოქრო ჰქონდა მოგებული.

ლატინინას რეკორდის გამეორება

ლონდონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მაიკლ ფელპსს 16 მედალი ჰქონდა და მოგებული ოლიმპიური მედლების მხრივ ჩამორჩებოდა მხოლოდ ლარისა ლატინინას, რომელმაც თავის დროზე 18 მედალი მოიგო. თავის საყვარელ 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მაიკლმა მხოლოდ ვერცხლი მოიგო, თუმცა, სწორედ ამ ვერცხლის მედლის წყალობით გაუთანაბრდა ლარისა ლატინინას.

ყველა დროის საუკეთესო

მაიკლმა ლატინინას რეკორდი გაიმეორა და, ცხადია, ამაზე არ გაჩერებულა. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საერთო ჯამში მაიკლმა ექვსი მედალი მოიგო და მთლიანობაში 22 მოგებული ოლიმპიური მედალი დააგროვა.

ფელპსის ყველა მედალი

2004 ათენი

ოქრო - 400 მეტრი, კომპლექსური ცურვა
ბრინჯაო - ესტაფეტა 4x100 მეტრი, თავისუფალი სტილი
ბრინჯაო - 200 მეტრი, თავისუფალი სტილი
ოქრო - 100 მეტრი, ბატერფლაი
ოქრო - ესტაფეტა 4x200 მეტრი თავისუფალი სტილი
ოქრო - 200 მეტრი, კომპლექსური ცურვა
ოქრო - 200 მეტრი, ბატერფლაი
ოქრო - 4x100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა

2008 პეკინი

ოქრო - 400 მეტრი, კომპლექსური ცურვა
ოქრო - ესტაფეტა 4x100 მეტრი, თავისუფალი სტილი
ოქრო - 200 მეტრი, თავისუფალი სტილი
ოქრო - 100 მეტრი, ბატერფლაი
ოქრო - ესტაფეტა 4x200 მეტრი თავისუფალი სტილი
ოქრო - 200 მეტრი, კომპლექსური ცურვა
ოქრო - 200 მეტრი, ბატერფლაი
ოქრო - 4x100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა

2012 ლონდონი

ვერცხლი - 200 მეტრი, ბატერფლაი
ვერცხლი - ესტაფეტა 4x100 მეტრი, თავისუფალი სტილი
ოქრო - ესტაფეტა 4x200 მეტრი თავისუფალი სტილი
ოქრო - 200 მეტრი, კომპლექსური ცურვა
ოქრო - 100 მეტრი, ბატერფლაი
ოქრო - 4x100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა